# ისტორიული შესაძლებლობა ლიდერებისთვის, დაამარცხონ ტუბერკულოზი

გამოავლინე
3 მილიონი
გამოავლინე, უმკურნალე, განკურნე ტუბერკულოზი

## ტუბერკულოზით მსოფლიოში ყოველწლიურად 9 მილიონი ადამიანი ავადდება

## 3 მილიონი სამედიცინო დახმარების გარეშე რჩება დაგვეხმარე გამოვლენაში!

ტუბერკულოზის მსოფლიო დღე 24 მარტი 2015

## ტუბერკულოზი საქართველოში

ყოველდღიურად ტუბერკულოზით

**14** ადამიანი ავადდება

**1** ადამიანი კვდება

2013 წელს რეზისტენტული ტუბერკულოზის **720** შემთხვევა დაფიქსირდა

რეზისტენტული ტუბერკულოზით დაავადებული 1 პაციენტის მკურნალობა ჯდება **€ 24,166**

**7/10** ტუბერკულოზის შემთხვევა გამოვლენილია

**5/10** რეზისტენტული ტუბერკულოზით დაავადებული პაციენტი იტარებს მკურნალობას

ანტირეტროვირუსულ მკურნალობას იტარებს ტუბერკულოზითა და აივ ინფიცირებულთა **89%**

ბარსელონის დეკლარაცია წარმოადგენს ტუბერკულოზთან ბრძოლის გლობალური ჯგუფის ინიციატივას – ტუბერკულოზის ეპიდემიის დამარცხებისკენ მიმართოს მსოფლიო პოლიტიკური ძალისხმევა.

გლობალური ტუბერკულოზის ჯგუფი დაარსდა 2014 წლის ოქტომბერში, ტუბერკულოზთან ბრძოლაში ჩართული მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების პარლამენტარების შეხვედრის შემდეგ.

ვინაიდან ტუბერკულოზი კვლავ დიდ ტვირთად რჩება საქართველოში, ვთხოვთ საქართველოს პარლამენტარებს, ბარსელონის დეკლარაციაზე ხელმოწერით დაადასტურონ თავიანთი პოლიტიკური მხარდაჭერა ტუბერკულოზთან ბრძოლაში.

## დაფინანსება

**$13m** ტუბერკულოზის ეროვნული ბიუჯეტი



**45%** სახელმწიფო დაფინანსება

**55%** დაფინანსება დონორების მიერ

**0%** დეფიციტი დაფინანსებაში

# ბარსელონის დეკლარაცია

ჩვენ, ქვემორე ხელისმომწერნი, მსოფლიოს სხვადასხვა ხალხების პოლიტიკური წარმომადგენლები, ვაღიარებთ რა, რომ ყველა მამაკაცს, ქალსა და ბავშვს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, იცხოვროს ტირანული დაავადების გარეშე, ვაცხადებთ, რომ:

1 კაცობრიობის ისტორიაში, ტუბერკულოზით გარდაიცვალა იმაზე მეტი ადამიანი, ვიდრე ნებისმიერი სხვა ინფექციური დაავადებით. იგი კვლავ არის ყოველწლიურად 1.5 მილიონი ადამიანის სიკვდილის მიზეზი, ხშირად გავლენას ახდენს ყველაზე მოწყვლად ჯგუფებზე; ამიტომ, ტუბერკულოზის წინააღმდეგ ბრძოლა უნდა გახდეს გლობალური პოლიტიკის პრიორიტეტი.

2 ტუბერკულოზთან ბრძოლის მიმდინარე კურსი იმდენად ნელია, რომ ეს დაავადება, მომავალშიც, მსოფლიოში მილიონობით მოქალაქის სოციალურ-ეკონომიკური კეთილდღეობის საფრთხედ დარჩება. შესაბამისად, დაავადების წინააღმდეგ მიმართული პროგრამების განხორციელება ყველა მთავრობის სასიცოცხლო ინტერესს უნდა წარმოადგენდეს.

3 რეზისტენტული ტუბერკულოზის არსებობა, რაც ხშირად აუტანელი ტვირთი ხდება პაციენტებისთვის, მეტყველებს დაავადების სწორად მართვის კოლექტიურ მარცხზე. ეს ფაქტორი საფრთხეს უქმნის დაავადებასთან ბრძოლის პროგრესს, მილიონობით სიცოცხლის ფასად, შესაბამისად, იგი უნდა წარმოადგენდეს გადაუდებელი ქმედებების მთავარ ფოკუსს.

4 ტუბერკულოზის საწინააღმდეგო მედიკამენტები არაადეკვატურია, ვაქცინები და დიაგნოსტიკური საშუალებები — არასაკმარისი, ფარმაცევტული განვითარების კომერციული ბაზარი ვერ აკმაყოფილებს პაციენტების მოთხოვნას.

5 ტუბერკულოზი სამმაგ ტვირთს აკისრებს პაციენტს — ჯანმრთელობაზე დამანგრეველი ზემოქმედება, მკურნალობის მძიმე ტვირთი, სტიგმითა და შიშით განპირობებული სოციალური იზოლაცია. აღნიშნული პრობლემები, ჯანდაცვის ეროვნული პროგრამების მიერ, ჰოლისტიკური მიდგომით უნდა გადაიჭრას.

6 მკურნალობის პროცესში გამოწვევას წარმოადგენს ტუბერკულოზის კოინფექცია აივ-თან და დიაბეტთან, რაც ხელს უშლის დაავადების გავრცელების შემცირებას, ზრდის ტუბერკულოზთან ასოცირებულ ავადობას და სიკვდილიანობას. ჯანდაცვის სისტემამ ძირითადი კოინფექციებისთვის უნდა მოახდინოს პროგრამების ინტეგრირება.

აქედან გამომდინარე, ჩვენ ვალდებულნი ვართ გამოვიყენოთ ჩვენს ხელთ არსებული ყველა საშუალება და მოვუწოდოთ ჩვენს მთავრობებს მდგრადი ქმედებისაკენ, უზრუნველვყოთ ტუბერკულოზთან ბრძოლისათვის საჭირო საერთაშორისო და შიდა რესურსები, ხაზი გავუსვათ პოლიტიკურ დღის წესრიგში აღნიშნული დაავადების პრიორიტეტულობას, კერძოდ:

7 მოვითხოვოთ, რომ ყველა პაციენტს, მიუხედავად მათი ვინაობის, საცხოვრებელი ადგილისა და გადახდისუნარიანობისა, ხელი მიუწვდებოდეს სწრაფ, ზუსტ დიაგნოსტირების მეთოდებსა და მაღალი ხარისხის მკურნალობაზე. ტუბერკულოზის დიაგნოზმა და მკურნალობამ არასოდეს გამოიწვიოს პაციენტისა და მისი ოჯახის გაღატაკება.

8 მოვუწოდოთ კვლევისა და განვითარების ისეთი მოდელის გამოყენება, რომელიც საზოგადოებრივი ჯანმრთელობის საჭიროებაზეა მორგებული, ხელს შეუწყობს და გააძლიერებს უკიდურესად საჭირო ახალი მედიკამენტების, დიაგნოსტიკური მეთოდებისა და ვაქცინების განვითარებას, რათა ყველა პაციენტს, ვისაც ეს სჭირდება, ხელი მიუწვდებოდეს ახალ მკურნალობაზე.

9 მოვითხოვოთ, რომ პაციენტები და მოწყვლადი ჯგუფები მოექცნენ დაავადების საპასუხოდ მიმართული ქმედებების ცენტრში, მხარი დავუჭიროთ თემებისა და სამოქალაქო საზოგადოების ჯგუფების ჩართულობას ტუბერკულოზის პრევენციის, გამოვლენის და მკურნალობის ყველა ეტაპზე, შემცირდეს სტიგმა და მეტი ხმა მიეცეთ პაციენტებს ეპიდემიის საპასუხოდ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენ ვთანხმდებით, რომ შეიქმნას ახალი გლობალური საპარლამენტო კოალიცია, რომელიც ეფექტურ რეაგირებას მოახდენს ტუბერკულოზის ეპიდემიაზე, იმუშავებს საერთაშორისო ორგანიზაციებთან, როგორიცაა ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია, UNITAID, გლობალური ფონდი, პარტნიორობა „შევაჩეროთ ტუბერკულოზი“, the Union და UNAIDS, ასევე, არასამთავრობო ორგანიზაციებთან მთელს მსოფლიოში და ეცდება იკისროს ვალდებულება როგორც საკუთარ ქვეყნებში, ისე მის ფარგლებს გარეთაც. რაც მთავარია, მომავალ თაობებში უზრუნველყოს ტუბერკულოზის ეპიდემიის დასასრული.

ბარსელონის დეკლარაციაზე ხელმოწერა შესაძლებელია შემდეგ ელექტრონულ მისამართზე:
**http://www.globaltbcaucus.org/#!SIGN/c1u95**

# THE BARCELONA DECLARATION

We, the undersigned, as political representatives of various peoples of the world, recognising that every man, woman and child should be able to live their lives free from the tyranny of disease, HEREBY DECLARE:

1. That tuberculosis (TB) has killed a greater number of people than any other infectious disease in human history and continues to be responsible for 1.5 million deaths a year, often affecting the most vulnerable, and that it should be a global political priority.
2. That the current rate of progress in combatting TB is too slow, such that the disease will remain a threat to the social and economic wellbeing of millions of citizens around the world for centuries to come, and that accelerating progress against the disease should be recognised by all governments to be in the interests of all.
3. That drug-resistant TB demonstrates a collective failure to address the disease properly, imposing an often unbearable burden of treatment on patients and threatening to set back progress against the disease at the grave cost of millions of lives, and that it should be the focus for urgent action.
4. That the current drugs for TB treatment are inadequate, that vaccines and diagnostics are insufficient, and that the commercial market for pharmaceutical development has failed TB patients.
5. That TB imposes on patients a triple burden, combining the devastating health impact of the disease itself, the harsh burden of treatment, and the isolation of social exclusion driven by stigma and fear, and that these problems should be be addressed holistically by national health programmes.
6. That TB co-infections such as HIV and diabetes compound the challenges faced by patients during treatment, hindering efforts to reduce rates of disease and increasing the mortality and morbidity associated with TB, and that healthcare systems should integrate programmes for key co-infections.

   We therefore commit to use all the means at our disposal to urge sustained action from our governments, to secure the necessary international and domestic resources to combat TB, and to press for the prioritisation of the disease on political agendas, specifically:

7. To demand that every patient, regardless of who they are, where they live, or their ability to pay, shall have access to quick, accurate diagnosis and high quality treatment, and that TB diagnosis and treatment never result in the impoverishment of patients or their families.
8. To call for a model of research and development that is driven by public health need and will support and enhance existing pipelines of desperately needed new drugs, diagnostics and vaccines, to ensure that new treatments are accessible and affordable for the patients who need them.
9. To insist that patients and vulnerable groups are placed at the heart of the response to the disease, supporting the engagement of communities and civil society groups in every aspect of TB prevention, detection, and treatment, puncturing stigma and giving patients a stronger voice in the response to the epidemic.

And to this effect WE HEREBY AGREE to establish a new global parliamentary caucus to press for a more effective response to the TB epidemic, working with official organisations including the World Health Organisation, UNITAID, the Global Fund, the Stop TB Partnership, the Union and UNAIDS, and with non-governmental organisations across the world, reaching across political and geographical divides and seeking to build commitment in our own countries and beyond, to secure an end to the TB epidemic within a generation.

To sign the declaration go to this link **http://www.globaltbcaucus.org/#!SIGN/c1u95** and fill in your details.

# A HISTORIC OPPORTUNITY FOR LEADERS TO END TB

TB

**REACH THE**
**3 MILLION.**
**FIND. TREAT. CURE TB**

# EVERY YEAR 9 MILLION PEOPLE GET SICK WITH TB.

## 3 MILLION DON`T GET THE CARE THEY NEED.

## HELP US TO REACH THEM.

WORLD TB DAY 24 MARCH 2015

## Georgia TB facts

**14**
New TB cases a day

**1**
TB deaths a day

**720**
Drug-resistant TB cases in 2013

**€ 24,166**
Cost of treating one drug-resistant TB case in Georgia

**7/10**
TB Cases Detected

**5/10**
Drug-resistant TB cases treated

**89%**
HIV+ people with TB on ARV

The Barcelona Declaration is an initiative of the Global TB Caucus. It is a representation of the worldwide political commitment to end the TB epidemic.

The Global TB Caucus was founded in October 2014 following a meeting of parliamentarians from around the world who are committed to fighting TB.

As TB continues to place a serious burden in Georgia, Parliamentarians in Georgia are being asked to pledge their support for the greater political action on TB by signing the Barcelona Declaration.

## The Funding Needs (per year)

**$13m**
National TB Budget



**45%** domestically funded

**55%** internationally funded

**0%** Funding Gap

USAID
ამერიკელი ხალხისგან

ტუბერკულოზის
პრევენციის
პროექტი

University Research Co., LLC
50 years URC

TBGC
TB Georgian Coalition